

თორნიკე რამაზაშვილი

საბჭოთა ტერორი რელიგიური
ორგანიზაციების წინააღმდეგ



თბილისი, 2020

სარჩევი

წინასიტყვაობა	2
საზოგადოებრივი აზრის ფორმირება	3
წინააღმდეგობრივი ხასიათი.....	4
ნაციონალისტური პარადიგმა	6
იდეოლოგიური მეტოქე.....	7
დასკვნა.....	9
გამოყენებული ლიტერატურა	10



წინასიტყვაობა

კარლ მარქსის მიერ ჩამოყალიბებულმა დებულებამ, რომლის მიხედვითაც რელიგია წარმოადგენს ჩაგრულ ქმნილებათა ვაებას, უგულო ქვეყნის სულს, გულს და მეტიც, ის თავად ოპიუმია ხალხისთვის, ისტორიაში ჰპოვა საკუთარი ადგილი და გახდა საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი, რომლის შედეგაც საბჭოთა ტერორი და ზოგადად ანტირელიგიური დამოკიდებულება გავრცელებული იყო ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მას შევხვდებოდით, დაწყებული საბჭოთა კავშირის დროინდელი ჟურნალების ილუსტრაციებიდან, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა დისკრედიტაცია და გაშარჟება ღმერთის, ტაძრების, სასულიერო პირებისა და სხვადასხვა რელიგიური სიმბოლოების, დამთავრებული როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის, აგრეთვე სხვა კონფესიებისა თუ დენომინაციების მიმართ გამძვინვარებული რეპრესიებით.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ბრუტალური დამოკიდებულება რელიგიის მიმართ არ ყოფილა ნასაზრდოები მხოლოდ ათეისტური მსოფლმხედველობით და ღმერთის, როგორც რწმენის უარყოფით, არამედ საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობით გამოწვეული მდგომარეობით, სადაც ისევ კარლ მარქსის აზრით რელიგია ასრულებდა ერთგვარ ტკივილგამაყუჩებლის როლს, როგორც ამას აკეთებს ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმი და რომლის შედეგადაც ადამიანი წყდება არსებულ მძიმე რეალობას და ექცევა ილუზორულ სამყაროში. სწორედ ამიტომ, რელიგია თავისი ლეგატიმურობით გამოცხადდა მოჩვენებით ბედნიერებად, ანტაგონიზმად და სოციალური ჩაგვრის მთავარ იარაღად. საინტერესოა, რომ აღნიშნული დაპირისპირების კონტექსტში მიზნად გამოიკვეთა, არა მხოლოდ, რელიგიის გაუქმება, არამედ მისი ჩანაცვლება საბჭოთა კავშირის იდეით, რომელიც შემდეგ მყარად უნდა დამკვიდრებულიყო ადამიანების გულსა თუ გონებაში.

ვინაიდან, ვითარების გარკვევა იწყება სწორი და დროული კითხვების დასმით, შესაბამისად უნდა ითქვას, თუ რატომ, როგორ და რა მეთოდებით ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლება რელიგიურ ორგანიზაციებს, იყო თუ არა ეს ბრძოლა თანაბრად სასტიკი თითოეული კონფესიისთვის და რა განაპირობებდა ისტორიის გარკვეულ ეპიზოდში ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლას ზოგიერთი მათგანისთვის, ამასთანავე რა ზიანი მიიღეს რელიგიურმა გაერთიანებებმა და საბოლოო ჯამში რა ადგილი უკავია აღნიშნულ მოვლენას საქართველოს კოლექტიურ მეხსიერებაში.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირება

ადამიანების გულსა და გონებაში დამკვიდრებისთვის ბრძოლა შემთხვევით არ იყო ნახსენები, ვინაიდან მარტივ ამოცანას ნამდვილად არ წარმოადგენდა პიროვნებისთვის რელიგიის მნიშვნელობის შეცვლა საბჭოთა კავშირის იდეით. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ბრძოლის მეთოდები რელიგიური ორგანიზაციების წინააღმდეგ იყო როგორც ხისტი ძალის გამოვლინება, რაშიც იგულისხმება რეპრესიები, აგრეთვე რბილი ძალის გამოყენება, ძირითადად საინფორმაციო ხასიათის. ამ უკანასკნელის კონსტატაციას წარმოადგენს სწორედ ანტირელიგიური პროპაგანდის შექმნა/გავრცელება საზოგადოებაში, რომლის მიზანი იყო მარტივი, პრიმიტიული და მცდარი წარმოდგენების შექმნა ამა თუ იმ რელიგიაზე.

მაგალითისთვის, ღმერთზე პრიმიტიული წარმოდგენების გაღვივებას და შემდეგ ამის ფართო მასებში გავრცელებას ემსახურებოდა საბჭოთა ჟურნალებში გამოქვეყნებული კარიკატურები, ამ მხრივ კი ყურადღება მისაქცევია 1975 წელს შექმნილი კარიკატურა იური გაგარინის კოსმოსში გამგზავრებასთან დაკავშირებით, სადაც კოსმონავტი ამბობს, რომ მან იქ ვერ იპოვნა ღმერთი. რასაკვირველია, რომ ეს მოსაზრება ღმერთის ტრანსცენდენტულობას და ამორფულობას ეჭვქვეშ აყენებს და დაჰყავს ის პრიმიტიულ წარმოდგენამდე. ამ მხრივ, გამონაკლის არც ისლამური

რელიგია წარმოადგენდა, კერძოდ 1977 წელს შესრულებულ კარიკატურაზე გამოსახული ვირზე მჯდომი მუსლიმი კაცი, რომელიც ჩაგრულ მუსლიმ ქალს მიჰყავს მხრებით. არადა აშკარაა, რომ ყურანის მიხედვით ყველა ქალი თუ კაცი თანაბარია ღმერთის წინაშე და დაუშვებელია ქალის ჩაგვრა რაიმე ფორმით. რაც შეეხება იეჰოვას სექტას, აქტიურად მიმდინარეობა მათი გაშარჟებაც და მეტიც, საბჭოთა კავშირში დივერსიულ აგენტებს ეძახდნენ, რომლებიც თითქოსდა წარმოადგენდნენ საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციას და ებრძოდნენ კომუნიზმს.

გარდა გრაფიკული გამოსახულებებისა, აპოლოგეტური კუთხით ბრძოლაში დიდი წვლილი მიუძღვის ანტირელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნდა 1924 წლის 27 აგვისტოს გაზეთ „უღმერთოს“ რედაქციაში შემდგარ კრებაზე, რომლის მიზანი იყო რელიგიის სრული განადგურება, მშრომელების განთავისუფლება რელიგიური ბორკილებისგან. რაც შეეხება ანტირელიგიური ორგანიზაციის მიერ გამოცემულ ლიტერატურას, მათ გამოსცეს 12,5 ათასიანი ტირაჟით „ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ“ ხუთტომეულის პირველი ტომი. საზოგადოებაში, რაც უფრო მეტად და ხშირად ჟღერდებოდა ანტირელიგიური პროპაგანდა, იმით უფრო ძნელი იყო იმავე საზოგადოებისთვის, აღნიშნული ინფორმაციის მცდარობის დაჯერება.

წინააღმდეგობრივი ხასიათი

რელიგიისთვის შავი პროპაგანდის შექმნის ნარატივში, სადაც აპოლოგეტური კუთხით ბრძოლა არანაკლებ მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი იყო, ვიდრე სისხლიანი რესპრესიები, აღნიშნულ პროცესში საბჭოთა კავშირი ავლენდა წინააღმდეგობრივ ხასიათს. კერძოდ მის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ჰქონდა ღრმა კავშირი რელიგიურ რიტუალებთან. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფალს იზიდავდა და სიმპათია ჰქონდა ისეთ საკრალურ ელემენტებთან, რომელსაც ეკლესია აკეთებდა საუკუნეების განმავლობაში და შემდეგ იმავეს იმეორებდა. მაგალითისთვის,

საბჭოთა ბელადების ძეგლებთან პატივისცემა, უფრო ვრცლად კი ვლადიმერ ლენინისთვის მავზოლეუმის გაკეთება და ბალზამირებული ცხედრის საჯაროდ გამოფენა, სადაც ადამიანებს შეეძლოთ მისი ნახვა, ამგვარი მოვლენა მჭიდრო კავშირშია მართლმადიდებლურ სამყაროში, ეკლესიის მიერ ამა თუ იმ შერაცხული წმინდანთა ნაწილების მიწიდან აღმოყვანების ტრადიციასთან, რომლის შემდეგადაც მრევლს აქვს მისი ხილვისა და თაყვანისცემის საშუალება.

გარდა, რიტუალური მხარისა, საბჭოთა რეჟიმს ჰქონდა მცდელობა, უფრო ღრმად მიმსგავსებოდა ქრისტიანულ რელიგიას და შეექმნა ადამიანის სრულიად ახალი, სპეციფიკური ტიპი, რომელსაც ერქმეოდა ჰომოსოვიეტიკუსი, იგივე საბჭოთა ადამიანი და იქნებოდა მხოლოდ მარქსიზ-ლენინიზმის მრწამსით აღსავსე. რაც შეეხება ქრისტიანულ მოძღვრებას, ახალი ადამიანის შექმნის იდეა გულისხმობს ქრისტიანი, მორწმუნე ადამიანის მიერ აღსრულებული მცნებების შედეგად დამდგარ განწმენდის პროცესს, რომელიც საბოლოოდ გარდაიქმნება ახალ ადამიანად.

ყველაფერი კი დაიწყო იქიდან, რომ როგორც ვლადიმერ ლენინს, ისევე იოსებ ჯულაშვილს და სხვა მნიშვნელოვან თუ მათთან შედარებით უმნიშვნელო პოლიტიკურ ლიდერებს, ახალგაზრდობის პერიოდიდან ჰქონდათ მჭიდრო კავშირი სასულიერო გარემოსთან ან სასულიერო განათლებასთან. მათი დამოკიდებულება რელიგიის მიმართ ჩამოყალიბდა მკაცრ, კონსერვატულ გარემოში, რომელმაც შემდეგ იქონია გავლენა მათ ათეისტურ იდეოლოგიაზე. კარლ მარქსი გაიზარდა რელიგიურ ოჯახში და ვინაიდან მან გაიარა მკაცრი ქრისტიანული აღზრდა, სწორედ ამან განაპირობა რელიგიის კრიტიკა მისსავე ნაშრომებში. იგივე შეიძლება ითქვას იოსებ ჯულაშვილზე, რომელიც სწავლობდა სასულიერო სემინარიაში და გარიცხეს სხვადასხვა მიზეზებთან, ერთად მარქსისტული იდეოლოგიის დაინტერესების გამო. სავარაუდოა, რომ მათ გონებაში ღრმად დაღეიქილმა ემოციებმა და შთაბეჭდილებებმა, რელიგია აქცია ერთდროულად ზიზღისა და სიმპათიის ობიექტად.

ნაციონალისტური პარადიგმა

რელიგიისა და ნაციონალიზმის ფენომენი, ერთი შეხედვით ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ისტორიას, დავინახავთ, რომ ნაციონალიზმმა შეიძინა რელიგიური ელფერი, განსაკუთრებით კი ეს შეეხო დიდ რევოლუციებს. ფრანგი პოლიტოლოგი ალექსის დე ტოკვილი ფიქრობდა, რომ საფრანგეთის რევოლუციამ შეიძინა რელიგიური რევოლუციის ბევრი თვისება, იგივე აზრი ვრცელდება ამერიკულ რევოლუციასთან დაკავშირებით, რომ მისი მრავალი ლიდერი შთაგონებული იყო მეთვრამეტე საუკუნის დეიზმით და სამართლის რელიგიით. ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება რელიგიასთან ბრძოლის კვალდაკვალ, მასში ხედავდა ეთნოპოლიტიკის ნაწილსა და ნაციონალიზმის ანარეკლებს, რაც უფრო მეტად აცხოველებდა საბჭოთა ტერორს. ყოველივე ამის ფონზე კი გაიჟღერა ერთმა ისეთმა ფრაზამ, რომელმაც ქართულ წარმოდგენაში შეაკავშირა რელიგია და ნაციონალიზმი, ეს იყო - „მამული, ენა, სარწმუნოება“.

სწორედ ამიტომ, ლუთერანული და კათოლიკური რელიგია იქცა სამიზნის ძირითად ობიექტებად. საბჭოთა კავშირი ლუთერანულ ეკლესიაში ხედავდა ფაშიზმის აჩრდილს, ვინაიდან აღნიშნული რელიგია წარმოიშვა გერმანიაში რეფორმაციის დროს, ჩათვალეს, რომ ისინი შედგებიან ნაციისტური გერმანიის აგენტებისგან. შედეგად კი 1930 წელს დახვრიტეს სამხრეთ კავკასიის ლუთერანული ეკლესიის მთავარი პასტორი რიჰარდ მაიერი, ამ რეგიონში მცხოვრები ლუთერანები 1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საკუთარი სახლებიდან გამოდევნეს და გადაასხლეს ყაზახეთსა და ციმბირში.

გამონაკლის არც კათოლიკური ეკლესია წარმოადგენდა, რომლის სულიერი ლიდერი რომის პაპი იყო და არის ამავდროულად ვატიკანის სახელმწიფოს მეთაური და პოლიტიკური პირი, რომელსაც მიიჩნევდნენ ძლიერ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ და იგივენაირად ამძაფრებდა საბჭოთა ქსენოფობიას კათოლიკური ეკლესიის მიმართ,

რომელიც გამოიხატა კიდევაც ეკლესიების ჩამორთმევაში, დახურვაში, დანგრევაში, სამოციქულო ადმინისტრატორის არქიმანდრიტი შიო ბათმანიშვილის დახვრეტაში და ასე შემდეგ. ნაციონალისტური ნიშნით, რეპრესიებს განიცდინენ სხვა რელიგიური თუ სოციალური ჯგუფებიც, მათ შორის ყალმუხები, ყარაჩელები, თურქი მესხები, ჩეჩნები, რუმინელები, ლიტველები, ესტონელები და სხვები, რომელთაც ასახლებდნენ საზოგადოებისგან შორს, დაუსახლებელ ტერიტორიებზე, ძირითადად ციმბირსა და ყაზახეთში.

იდეოლოგიური მეტოქე

ბრძოლა ქართული ეკლესიის მიმართ დაიწყო ოქტომბრის წითელი რევოლუციიდან 4 წლის შემდეგ, უფრო ზუსტად კი 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომის N:21 დეკრეტით მიღებული „სახელმწიფოსგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“ დადგენილებით, სადაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია აღნიშნული დოკუმენტის მე-14 და მე-15 მუხლი, რომლის მიხედვითაც არცერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ აქვს უფლება იქონიოს კერძო საკუთრება, ამასთანავე მათ არ გააჩნიათ იურიდიული სტატუსი და არსებული საეკლესიო ქონება ცხადდება ხალხის საკუთრებად. გარდა დადგენილებისა, რაც შეეხება უშუალოდ რეპრესიებს, განსაკუთრებით 1923 წლიდან იწყება ეკლესია-მონასტრების დახურვა, ამ დროს საქართველოში დაიხურა 600-ზე მეტი ეკლესია და მასობრივად გაიყიდა ოქროს ხატები, ბარძიმ-ფეხშუმები და სხვა საეკლესიო ქონება.

რატომ დაიწყო ბოლშევიკურმა ეკლესიამ ბრძოლა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ და იყო თუ არა აღნიშნული ბრძოლა შედარებით მძიმე ან რბილი განსხვავებით სხვა რელიგიური ორგანიზაციებისგან, დროული და მნიშვნელოვანი კითხვაა. პირველ რიგში, ბოლშევიკური რეჟიმისთვის განსაკუთრებით საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია აღიქმებოდა ძირითად, იდეოლოგიურ კონკურენტად. როგორც უკვე განხილულია საბჭოთა ლიდერების ფსიქოლოგიური პორტრეტი, სხვა

ფაქტორებად რჩებოდა განსაკუთრებით ქართული ეკლესიის ძალაუფლების სისტემა, იერარქიული სტრუქტურა და მხარდამჭერთა რაოდენობა, რომელიც არასდროს გამქრალა. ერთი შეხედვით, არაფერია იმაში უცნაური, რომ საბჭოთა ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ქართულ ეკლესიას, როგორც სხვა დაანარჩენ, არანაკლებ რეპრესირებულ რელიგიურ გაერთიანებებს, მაგრამ უცნაურია ის ფაქტი, თუ რატომ და რა მიზნით შეიცვალა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ დამოკიდებულება მაინცდამაინც იოსებ სტალინის მმართველობის დროს.

ამ მხრივ, ხაზგასასმელია მეორე მსოფლიო ომის ეპიზოდი, განსაკუთრებით 1943 წელი, სადაც იოსებ სტალინს ესაჭიროებოდა პოლიტიკური მოკავშირეები, ამასთანავე რელიგიისა საკითხი მნიშვნელოვანი იყო როგორც დიდი ბრიტანეთისთვის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და ზოგადად დასავლეთისთვის. სწორედ ამიტომ, პოლიტიკური და პრაგმატული მიზნებისდა გამო, საბჭოთა ხელისუფლებამ იოსებ სტალინის მეთაურობით შეცვალა დამოკიდებულება რელიგიის, ამ შემთხვევაში კი, ქართული ეკლესიის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ლოიალური დამოკიდებულება გააკრიტიკეს, როგორც საკუთარი მმართველობის დროს, აგრეთვე მისი სიკვდილის შემდეგ კერძოდ ნიკიტა ხრუშჩოვის რეჟიმის მიერ. იოსებ სტალინმა გააუმჯობესა ურთიერთობები დიდ ბრიტანეთთან, რომელსაც შედეგად მოჰყვა იორკის მთავარეპისკოპოსის ვიზიტი საბჭოთა კავშირში. როგორ პარადოქსურადაც არ უნდა ჟღერდეს, გაჩნდა რელიგიური თავისუფლების ცნება საბჭოთა კავშირის ტოტალიტარულ რეჟიმში. შემდეგ დამატებით ვიზიტით ეწვივნენ ამერიკელი პროტესტანტი პასტორები, რათა მართლაც დაედასტურებინათ საბჭოთა რეჟიმის მიერ რელიგიის მიმართ დამოკიდებულების ცვლილება. რასაკვირველია, რომ ამგვარი დროებითი და ფარისევლური ცვლილებების მიზანი სხვა არაფერი იყო, თუ არა მეტი კონტროლის მექანიზმის გაჩენა იერარქიულად სტრუქტურული რელიგიური გაერთიანებების მიმართ, რომლის მიმართაც მანამდე იყო განსაკუთრებული ბრძოლა და ამასთანავე სტალინის

მმართველობის დროინდელ საბჭოთა ხელისუფალს საკუთარ სამსახურში ჩაეყენებინა ეკლესია, რომლის წიაღშიც შემდეგ ამოიზრდებოდა თავად საბჭოთა კავშირი და მსგავსი მეტამორფოზა მოხდა კიდევაც.

დასკვნა

დასკვნის სახით, საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის ანტირელიგიური პროპაგანდა და სისხლიანი რეპრესიების პროცესი შეიძლება შეფასდეს, როგორც ხანგრძლივი და რთულად გასაანალიზებელი მოვლენა, ვინაიდან მასში იყო, როგორც მრავალი პოლიტიკური თუ სოციალური საკითხი, აგრეთვე ის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ავლენდა, რომლის მიხედვითაც მას ერთდროულად ეზიზღებოდა და უყვარდა რელიგია და ბოლოს იქცა კიდევაც „საბჭოთა ეკლესიად“. უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს ღრმა, ფსიქოლოგიური პროცესი ლაითმოტივად გასდევს მთელ საბჭოთა ტერორის ისტორიას და საშუალებას აძლევს დაინტერესებულ ადამიანებს, რათა მრავალ პრიზმაში შეაფასონ და განიხილონ საბჭოთა კავშირისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულება. დღევანდელი გადმოსახედიდან კი ცხადია, რომ არც ისტორიის გარკვეულ პერიოდში, როგორც ქართული ეკლესიისა, ისევე სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ შეცვლილ დამოკიდებულებას არ აუნაზღაურებია ის მორალური თუ ფინანსური ზიანი, რომელიც საბჭოთა რეჟიმმა მიაყენა კონფესიებს, არც საბჭოთა კავშირის მიერ დასახული, კარლ მარქსის მიერ ჩამოყალიბებული „ილუზორული ბედნიერების და იმქვეყნიური ჭეშმარიტების“ გაქრობა აღსრულებულა, თუმცა ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ ამ ყველაფრის ფონზე საბჭოთა კავშირი გაქრა, საბჭოთა ტერორი კი სამუდამოდ დარჩა საქართველოს მეხსიერებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- http://www.library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=390:-1921
- <https://www.tdi.ge/ge/page/sabchoeti-da-religia>
- https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98_1563806946.pdf
- <https://emc.org.ge/ka/products/martlmadidebloba-da-postsotsialisturi-kapitalizmis-suli>
- <https://www.palamacentre.com/2019/05/31/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/>
- <https://www.mythdetector.ge/ka/myth/sakartvelo-da-msoplio-diktatorebs-aidealebs>
- <http://www.tabula.ge/ge/story/157935-ghmert-ar-arsebobs-sabchota-kavshiris-antireligiuri-propaganda>
- <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98/29280738.html>
- <https://www.youtube.com/watch?v=UkruY7Z6itU>
- <https://www.youtube.com/watch?v=RZ9IgYN7WrM>